ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

გიორგი სოფრომაძე

ერთიანი პროფესიული კავშირისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემები საქართველოში

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: კონსტანტინე ერისთავი

სამართლის თეორიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მშრომელთა და პროფესიული კავშირების ორგანიზების პრობლემები საქართველოში. გამომწვევ მიზეზად ძირითადი მიმართულებით სახელდება ნეოლიბერალური ეკონომიკური დღისწესრიგი, რომლის მეშვეობითაც აიხსნება მშრომელთა ორგანიზების პრობლემები. ამავდროულად განიხილება ის ფაქტორები თუ რა აბრკოლებს მშრომელს ორგანიზების პროცესში. ნაშრომი ასახავს ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიურ ჩარცოებს, ისტორიას, განვითარებასა და განხორციელების მაგალითებს, ასევე განიხილავს საქართველოს პრაქტიკასა და რეფორმებს. განხილულია პრეკარული შრომა და მისი მნიშვნელობა, ასევე მისი როლი ნეოლიბერალურ წესრიგში. საუბარია თუ რა პრობლემებთანაა დაკავშირებული პრეკარული შრომის დროს ორგანიზების საკითხები, ასევე შედარებით სტაბილური დასაქმების ადგილებში ნეოლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგის შედეგად შექმნილი რა მიზეზები განაპირობებენ ორგანიზების პრობლემებს. განხილულია პროფესიული კავშირების შესახებ ტეორიები და საქართველოში მშრომელთა ორგანიზების ისტორია. ნაშრომი ეხება პროფესიული კავშირის მოქმედებას, მის ნაკლოვანებებსა და იმ განვლილ პროცესებს ზოგადი სახით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და ასევე მიუთითებს მის როლზე ორგანიზების პროცესში.

Abstract

The following paper is about the problems of labor and professional unions in Georgia. The main cause is neoliberal economic agenda, which explains the problems of organizing labors. At the same time, there is discussed the factors that delaying the labors the process of organizing.

The work reflects ideological frameworks, history, development and implementation of neoliberalism, as well as the practices and reforms of Georgia. The preliminary work and its significance, as well as its role in neoliberal order are discussed. What are the issues related to organizing issues during pre-labor, as well as the reasons of neoliberal political and economic order in relatively stable employment areas are the organizational problems. The territories of trade unions and history of organization of workers in Georgia are discussed. The work refers to the actions of the trade union, its shortcomings and the progressive processes after the independence of the general form and also indicates its role in organizing the process.

სარჩევი:

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 10

ნეოლიბერალიზმი და მშრომელთა ორგანიზების პრობლემები 14

ნეოლიბერალიზმი და ეკონომიკური რეფორმები საქართველოში 14

პრეკარული შრომა და ორგანიზების შეუძლებლობის მიზეზები 22

პროფესიული კავშირები და მშრომელთა ორგანიზების პრობლემები 29

პროფესიული კავშირების იდეოლოგიური საფუძვლები 29

პროფესიული კავშირები საქართველოში - ისტორიული მიმოხილვა 32

პროფესიული კავშრები და მშრომელთა წინააღმდეგობა საქართველოში 35

დასკვნა 40

გამოყენებული ლიტერატურა 41

შესავალი

საკვლევი საკითხის პრობლემის განსაზღვრა, აქტუალობა: პროფესიული კავშირების ჩანასახი და მშრომელთა ორგანიზების ფორმები საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გვხვდება. ჯერ კიდევ ამ პერიოდში იქმნება საგაფიცვო ფონდები და იწყება ფართომასშტაბიანი გაფიცვების ორგანიზება. დროთა განმავლობაში მშრომელთა ორგანიზების ფორმები სახეს იცვლის და უკვე მეოცე საუკუნის ბოლოს მომხდარმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა გარკვეული ტიპის წესრიგი შექმნეს ქვეყანაში, რაც პირდაპირ კავშირში იყო ნეოლიბერალური პოლიტიკის საწყისთან და ჩანასახთან.

საქართველოში ინდუსტრიული ზონები და არამხოლოდ, კარგავენ ფუნქციას და მნიშვნელობას, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური ფორმაცია ემყარება პრივატიზაციის პოლიტიკას. ამ კურსის ლოგიკური გაგრძელება იყო ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გატარებული რეფორმები. მართალია, რომ ქვეყანაში დაიწყო წარმოების პროცესი, თუმცა საწარმოები აღმოჩნდა კერძო მესაკუთრეთა ხელში, ხოლო ინდუსტრიულ ზონებში დასაქმებულ მშრომელთა რაოდენობამომსახურების სფეროში დასაქმებულებთან შეფარდებით საკმაოდ მცირეა. ეს შემთხვევითი არაა და ქვეყანაში გატარებული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. ეკონომიკური კურსი ემყარებოდა მინიმალური დანახარჯის მეშვეობით მაქსიმალური მოგების მიღების პოლიტიკას, რაც თავის მხრივ, უგულვებელყოფდა მეტი დანახარჯის გაღებას შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის და მშრომელებისთვის სამყოფი მინიმალური ანაზღაურების გადახდასაც კი.

აღნიშნული პროცესების განმავლობაში შრომამ, მეტწილად გადაინაცვლა მომსახურების სფეროში, პრეკარული(არასტაბილური) ხასიათი მიიღო და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა დაემყარა არა წარმოებას, არამედ ტურიზმსა და სერვისის სფეროს, რომელიც დღემდე ყველაზე არამდგრად სამუშაო ადგილებსა და ყველაზე მინიმალური ანაზღაურების სივრცეებს წარმოადგენს. შრომის მომსახურების სფეროში გადასროლამ კიდევ უფრო მეტად გაართულა მშრომელთა ორგანიზება. ყველაფერთან ერთად მშრომელთა

მძიმე მდგომარეობა და ისედაც არსებული საჭიროება უფრო და უფრო მოითხოვდა ორგანიზებულ წინააღმდეგობას. ინდუსტრიულ ზონებსა და მძიმე მრეწველობაში სამუშაო ძალის მიმოსვლამ ისეთივე არამდგრადი სახე მიიღო, როგორც მომსახურების სფეროში ხდება, თუმცა ამავდროულად მეტად სტაბილურ დასაქმების ადგილებს წარმოადგენდა. მართალია ფორმალურად არსებობდა ერთიანი პროფკავშირული გაერთიანება (რაც თავის მხრივ იყოფა პირველად პროფკავშირულ გაერთიანებებად) ვერ მოახერხა გაძლიერება და ფართომასშტაბიანი ორგანიზებული წინააღმდეგობის დაწყება. ამის პარალელურად კი უფრო და უფრო იზრდებოდა სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი, ხოლო გაფიცვები კრახით მთავრდებოდა, რაც თავისმხრივ ამძაფრებდაორგანიზების პრობლემებს და მშრომელთა ერთიანი წინააღმდეგობის შედეგად მათი მოუგვარებლობის პერსპექტივას მეტად ზრდიდა, აშორებდა ახლო მომავალს. ყველაფერს თან ერთვოდა მშრომელთა მხრიდან უნდობლობის განცდა პროფესიული კავშირების მიმართ, რაც კიდევ ერთი მიზეზია საყოველთაო თუ ზოგადად ორგანიზების პრობლემის კუთხით, რაც თავისთავად სტრატეგიის არ არსებობაზე მიგვანიშნებს. ბოლო ფართომასშტაბიანი გაფიცვა კი გარკვეულწილად პროფესიული კავშირების მშრომელებისგან გაუცხოებისგამოძახილი იყო. 2016 წლის ტყიბულის გაფიცვა წამოიწყო არა ორგანიზებულმა ერთიანმა პროფესიულმა კავშირმა, არამედ მშრომელებმა, რომლებიც შემდგომში გაერთიანდნენ პროფესიული კავშირების ერთიან ორგანიზაციაში და უკვე იქ დაიწყეს წინააღმდეგობა იმ თემებზე, რაც ხელს უშლიდა ერთიან პროფესიულ კავშირს ორგანიზებაში. ამავდროულად, კი დაიწყეს ფიქრი ალტერნატიულ გზებზე პრობლემის საყოველთაოდ აღმოსაფხვრელად.

საქართველოში არსებული ეკონომიკური წესრიგის პირობებში მრავალი ადამიანი დაშავდა თუ გარდაიცვალა სამუშაო ადგილას. სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, შეუძლებელია მათი რეალური რიცხვის დადგენა. დღითიდღე უფრო და უფრო მწვავდებოდა შრომით პირობებსა და მინიმალური ხელფასის საკითხზე საუბარი. მშრომელთა პროტესტი, მისი კრახი და მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე დარჩენილი გაფიცვები კიდევ უფრო მეტად აქტუალურს ხდიდა პროფესიულ კავშირში არსებულ

პრობლემებსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკაზე საუბარს. ეს ყველაფერი დღემდე აქტუალური თემაა თავად მშრომელებში. მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მშრომელები და ამ საკითხებსა და პროცესში ჩართული ადამიანები სხვადასხვა საშუალებებით გამუდმებით აპროტესტებდნენ არსებულ მძიმე მდგომარეობას და ერთიანი ორგანიზებული პროფესიული კავშირების მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ, რომელიც დღეს არ არსებობს.

აღსანიშნავია 2017 წელს გამართული არჩევნები, როდესაც საკმაოდ დიდი აქტუალობა შეიძინა საკითხმა პროფესიული კავშირების პრეზიდენტის არჩევის დროს, ხოლო ეს შიდა პროფკავშირული დაპირისპირებები ემყარებოდა არა პროფკავშირული საქმიანობის კრიტიკას, არამედ უფრო მეტად კეთდებოდა განცხადებები სისტემურ, პარტიულ და ა.შ. მიკუთვნებულობებზე, ხაზგასმა ხდებოდა ძალოვან უწყებებთან კავშირზე და ამ პროცესში იკარგებოდა ის პროტესტი, რაც შიდა, პირველადი გაერთიანებების დონეზე იწყებოდა და არსებობდა. წინააღმდეგობრივი განწყობები არსებობდა პროფესიული კავშირების ამჟამინდელი სახის მიმართ თავად ამ კავშირის წევრების მხრიდან.

საინფორმაციო საშუალებები, სხვადასხვა ჯგუფები, მოძრაობები და არამხოლოდ უკვე ხშირად საუბრობენ მძიმე შრომით მდგომარეობაზე და პროფესიული კავშირების, მშრომელთა ორგანიზების აუცილებლობასა და პრობლემებზე საქართველოში.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

მიზანი:

1) კვლევის მიზანია დაადგინოს, გაანალიზოს და ახსნას პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემების გამომწვევი მიზეზები

ამოცანები:

1. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში (პრივატიზაცია, დერეგულირება..)
2. პროფესიული კავშირების ორგანიზების სხვადასხვა იდეოლოგიურ შინაარსზე დაფუძნებული ფორმების შესახებ ნაშრომები

3. საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ კვლევები და მათი ნაშრომში ასახვა
4. მშრომელთა წინააღმდეგობებისა და მათ შესახებ არსებული კვლევების ნაშრომების კვლევა
5. ერთიან პროფესიულ კავშირთან და მშრომელთა ორგანიზების საკითხებზე არსებული კვლევები და მათი ნაშრომში ასახვა
6. ნეოლიბერალიზმის შესახებ არსებული თეორიული მასალები

საკვლევი ობიექტი:

1. ერთიანი პროფესიული კავშირი და მშრომელთა დამოუკიდებელი, ალტერნატიული პროფესიული კავშირები.
2. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და პროფესიული კავშირისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემების განმაპირობებელი მიზეზები

საკვლევი კითხვა:

განაპირობებსთუ არა პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლებემას ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგი ?

კვლევის ჰიპოთეზა:

ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგი განაპირობებს პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემებს.

დამოუკიდებელი ცვლადი - ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგი

დამოკიდებული ცვლადი - პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემა

ცვლადების ოპერაციონალიზაცია: ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგი - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განახლებული ვერსია, რომელიც მხარს უჭერს საბაზრო ინდივიდუალიზმსა და მინიმალურ სტეიტიზმს (ჰეივუდი, 2004).

მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- მეორეული წყაროების ანალიზი თეორიული ცოდნის დაგროვებას შეუწყობს ხელს, რაც პრობლემის შინაარსობრივი მხარეების გამოკვეთასა და წარმოჩენაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.
- ამასთანავე, მეორეული წყაროების ანალიზით გამოიკვეთება ერთიანი პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების პრობლემების გამომწვევი მიზეზები.

შერჩევა:

მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზდა :

ტყიბულის შახტაში, მომსახურების სფეროში, ქსნის მინის ტარის ქარხანაში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რკინიგზაში, ჭიათურის, კაზრეთის მაღაროებში, მეტროპოლიტენში დასაქმებული მშრომელების წინააღმდეგობის გამოცდილება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მოაზროვნის, ავტორისა და თეორიტიკოსის შრომა ნეოლიბერალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვის შესახებ. განხილულია იდეოლოგიური საფუძვლები, ისტორიული მონახაზი და განხორციელების პრაქტიკული მაგალითები. ასევე ასახულია თანმდევი შრომითი ურთიერთობების სპეციფიკური მხარეები, მათი ფორმების ცვალებადობა და კარგად წარმოჩენა ნეოლიბერალურ ეკონომიკაში, გატარებული რეფორმების თანმხლები შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევებთან. ნაშრომში გვხვდება სხვადასხვა სტატია, რომელიც საუბრობს ნეოლიბერალურ ექსპერიმენტებზე. ნაშრომებში ასახულია თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვა თეორიაში და მისი პრაქტიკული განხორციელება პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების საკითხებზე.

ამხსნელ თეორიად გამოყენებულია დეივიდ ჰარვის ნაშრომის „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორიის“, ერთ-ერთი თავის „ნეოლიბერალური სახელმწიფოს“ მიხედვით ჩამოყალიბებული განმარტებები ნეოლიბერალიზმის შესახებ, ასევე იგი ეყრდნობა მთლიან ნაშრომში გაბნეულ პრაქტიკულად განხორციელებული ექსპერიმენტების შედეგებს, სადაც ასახულია პრინციპები, რომელზეც დგას ნეოლიბერალური სახელმწიფო და თავის მხრივ დაკავშირებულია პროფესიული კავშირების დეზორგანიზების მაგალითებთან. ეს პრინციპებია: „თავისუფალი ბაზარი და ვაჭრობა, კერძო საკუთრების უფლება, პრივატიზაცია, სოციალური უზრუნველყოფის სფეროდან სახელმწიფოს გამორიცხვა იმ პირობით, რომ სახელმწიფოს ვალდებულებებში რჩება ინსტიტუტების, პოლიციის, არმიის შენახვა და ამასთან სახელმწიფო მინიმალურად უნდა ერეოდეს ბაზრის ფუნქციონირებაში.“ (დეივიდ ჰარვი „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია გვერდი 2) პროფესიული კავშირების წინააღმდეგ ნეოლიბერალური ხელისუფლებებისა და ეკონომიკური ფორმაციების გალაშქრების მაგალითად მოყვანილია ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ჩილე.

ნეოლიბერალიზმის ისტორიის მიმოხილვისა და პრინციპების კონტურების გავლებისთვის ნაშრომში გამოყენებულია ენდრიუ ჰეივუდის წიგნი „პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი“, სადაც საუბარია სხვა იდეოლოგიებთან ერთად ნეოლიბერალურ ხედვაზეც. ასევე ღირებულებითი სისტემის დასახასიათებლად გამოყენებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული ნაშრომი - „სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები“.

აქვე უნნდა აღინიშნოს გარსიასა და არნოლდოს ნააზრევი - „რა არის ნეოლიბერალიზმი? მოკლე განმარტება აქტივისტებისთვის“, სადაც საუბარია ნეოლიბერალიზმის პრინციპებზე, შინაარსობრივ მხარეებზე, საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე და მოყვანილია მისი მცირე მიმოხილვა.

ნეოლიბერალიზმის განმარტებისთვის ნაშრომში მოყვანილია სტეგერისა და როის ნაშრომი „ნეოლიბერალიზმი: ძალიან მოკლე შესავალი“, სადაც შინაარსობრივ განმარტებებთან ერთად მოთხრობილია ნეოლიბერალიზმის პირველ და მეორე ტალღაზე, ასევე პრაქტიკაში განხორციელებულ მაგალითებზე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის გათვალისწინებით და შემდგომ კრიზისზე.

ნეოლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვის განხორციელების პროცესზე საუბრისას ნაშრომში გამოყენებულია რამდენიმე მაგალითის ასახსნელად ო’სალივანის სტატია - „ტეტჩერი და რეიგანი: მეგობრობის ფენომენი“ , სადაც საუბარია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შემთხვევაზე. განხილულია ის თუ როგორ დაუქვემდებარა კონტროლს მარგარეტ ტეტჩერმა პროფესიული კავშირები ქვეყანაში გატარებული რეფორმებით, ხოლო ალექსანდრე ტარასოვი თავის სტატიაში, „გეყოთ ტყუილები პინოჩეტზე“, საუბრობს ჩილეს მაგალითზე, რეფორმებზე და იმ ცვლილებებზე, რომელიც შეეხო პროფესიულ კავშირებს.

რაც შეეხება რეფორმებს, რომელიც საქართველოში გატარდა და უკავშირდება ნეოლიბერალიზმს თავისი ხასიათით, აღნიშნულია ვლადიმერ პაპავას ნაშრომში „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“.

იგი საუბრობს იმ პროცესზე, რაც მიმდინარეობდა ეკონომიკური თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა საქართველოშო, ხოლო სტივენ ჯონსი თავის წიგნში „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ ასევე მოგვითხრობს რეფორმებსა და განვლილ გზაზე, თუ რა პროცესები მიდიოდა საქართველოში რეფორმების თვალსაზრისით. ასევე ნაშრომში გამოყენებულია „შრომის კოდექსი“, რომელიც საუბრობს შრომის ინსპექციის გაუქმებაზე.

USAID-ს გამოცემაში „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“, საუბარია პროცესზე, რომელიც განვლო საქართველომ და დანართის სახით გამოყენებულ ინფორმაციაში, რომელიც „ვაშინგტონის კონსენსუსს“ უკავშირდება საუბარია იმ რეფორმებზე, რაც პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის ძირითად სარეკომენდაციო ბაზად იქცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის.

ნეოლიბერალიზმის შრომიითი ურთიერთობის ფორმებზე გაი სტენდინგის ნაშრომი „პრეკარიატი - ახალი საშიშ კლასი“ საუბრობს, სადაც ახასიათებს მის შინაარსს და უკავშირებს ნეოლიბერალურ ეკონომიკურ ფორმაციას. საუბრობს არასტაბილურ შრომაზე და იმაზე თუ ვინაა იქ დასაქმებული. მომსახურების სფეროში არსებულ საქართველოს მაგალითის განხილვისას ნაშრომში გამოყენებულია მომსახურების სფეროს პროფესიული კავშირის ფეისბუკ გვერდზე განთავსებული ვიდეო, სადაც საუბარია მომსახურების სფეროში არსებულ შრომით პირობებზე, რისი განზოგადებაც ზოგად მოცემულობაზე შესაძლებელია და იმავე ვითარებას ამტკიცებს სხვა დასაქმების ადგილებზე მომუშავე ადამიანების მონაყოლი. მომსახურების სფეროში არსებულ შრომით მდგომარეობაზე, პრეკარულ შრომასა და ქალთა შრომაზე სასაუბროთ ნაშრომში გამოყენებულია ანა კამლაძის მოხსენება, სადაც ის განიხილავს ქალთა შრომით მდგომარეობას, მის სიმძიმეს, ფარულ შრომასა და ზოგადად არასტაბილური სამუშაოების შინაარსს ქალთა საკითხთან მიმართებით.

მშრომელთა მდგომარეობის, შრომითი ურთიერთობების, დაშინების მეთოდებისა და დასაქმების ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს გიორგი ღვინჯილიას

სტატია „კონტროლი და სიძულვილი“, სადაც ასახულია მშრომელთა მოსაზრებები, დასაქმების ადგილას არსებული რეალობა ჭიათურაში, სხვადასხვა მეთოდები, რომელსაც კომპანია მიმართავს მშრომელთა წინააღმდეგ, რაშიც თავის მხრივ შეგვიძლია ამოვიკითხოთ დეზორგანიზების წინაპირობები. აქვე ჭიათურაში არსებულ ვითარებაზე, სამართლებრივი ბრძოლის შესახებ მშრომელთა დამოკიდებულებაზე და იქ შექმნილ მდგომარეობაზე წინამდებარე სტატიასთან ერთად მოგვითხრობს ესმა გუმბერიძის სტატია „ერთი დღე ჭიათურაში“.

პროფესიული კავშირების თეორიული საფუძვლების შესახებ საუბრობს სმრიტი ჩანდი თავის სტატიაში „პროფესიული კავშირების ხუთი თეორიული კლასიფიკაცია“, სადაც იგი გამოყოფს რევოლუციურ, ევოლუციურ, ინდუსტრიული იურისპრუდენციის, აჯანყების თეორიებს და განდიანურ მიდგომას.

საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიაზე საუბრისას გამოყენებულია ცოტნე ცხვედიანის საბაკალავრო ნაშრომი „ შრომითი ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კანონმდებლობაში (შედარებითი ანალიზი) “, რომელიც მოგვითხრობს მშრომელთა ორგანიზების ისტორიული გზაზე საქართველოში მეცხრამეტე მეოცე საუკუნეებში. ასევე გამოყენებულია გაზეთები: ცნობის ფურცელი, ლამპარი, ივერია, ტალღა, რომელიც გაფიცვების შესახებ საუბრობს.

ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი მიერ გამოშვებული „წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები“, რომელიც მოგვითხრობს მშრომელთა გაფიცვებზე ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებზე, ასახულია კვლევა, რომელიც ჩატარებულია სხვადასხვა დასაქმების ადგილებზე დასაქმებულებთან.

ნეოლიბერალიზმი და მშრომელთა ორგანიზების პრობლემები

ნეოლიბერალიზმი და ეკონომიკური რეფორმები საქართველოში

ნეოლობერალიზმი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება.იგი ემყარება მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიკურ ლიბერალიზმს და ჩაურევლობის პრინციპს(laissez-faire).ამ იდეოლოგიის ფესვების ძიება შეგვიძლია ადამ სმიტის, დევიდ რიკარდოსა და ჯონ სტუარტ მილის, ასევე ფრიდრიხ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმანის ნაშრომებში (Harvey, 2005).ნეოლიბერალიზმის მიზანი იყო შეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მთავარი მნიშვნელობა მიენიჭა თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ პრინციპებს,დერეგულაციისა და პრივატიზაციის პოლიტიკას, რაც ინდივიდის თავისუფლებაზე იყო დამყარებული. მისი განხორციელება, „ტეტჩერიზმისა“ და რეიგანიზმის“ სახელით, დაიწყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები (ჰეივუდი, 2004, p. 62).ნეოლიბერალიზმის პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ბაზრის კანონი. ეს პრინციპი წარმოადგენს სახელმწიფოს ჩაურევლობას საბაზრო ეკონომიკაში და შეზღუდვებისგან გათავისუფლებას „მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მასშტაბურ სოციალურ ზიანს მოიტანს ეს ნაბიჯი“. იგი მოიცავს ინვესტიციების თავისუფალ შემოდინებას ეკონომიკაში და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის გაფართოვებას. ასევე ეწინააღმდეგება პროფესიული კავშირების გაერთიანებას და გულისხმობს მათ წინააღმდეგ იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ასეთი ტიპის ერთობების დაშლისკენ და დეზორგანიზებისკენაა მიმართული, რაც თავისმხრივ წარმოადგენს დასაქმებულთა ანაზღაურების შემცირებისა და მშრომელთა სხვა უფლებების გაუქმების მეთოდს.იგი გულისხმობს ფასზე კონტროლის მოხსნას და კაპიტალს სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ნეოლიბერალებს არგუმენტად მოჰყავთ ისეთ მტკიცება, რაც თავისთავში მოიაზრებს, რომ დერეგულირება ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა საყოველთაო

სიკეთის შექმნისთვის.ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის მაგალითად რეიგანის „ჩამოდინების“ პოლიტიკა სახელდება (Garcia & Arnoldo, 2018).აქვე უნდა აღინიშნოს რადიო თავისუფლების ერთ-ერთისტატია, რომლის ავტორიც ჟურნალისტი ჯონ ო'სალივანია (მარგარეტ ტეტჩერის მრჩეველი და სფიჩრაითერი), საუბრობს მარგარეტ ტეტჩერის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. მის სხვა რეფორმებთან ერთად გამოყოფს, ერთ-ერთ ძირითად, პროფკავშირების რეფორმას, რომელიც გულისხმობდა ამ ერთობის ტოტალური კონტროლის ქვეშ მოქცევას (О'Салливан, 2013).

2. დერეგულაცია არის პრინციპი, რომელიც უგულვებელყოფს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში. ნეოლიბერალური ხედვით ჩაურევლობა ეკონომიკის განვითარების წინაპირობად მიიჩნევა. ეს იდეოლოგია ეთანხმება სახელმწიფოს ჩარევის იმ გზების მოსპობას, რომელიც მოგების ზრდას ხელს შეუშლის, რაც უსაფრთხოების ნორმების დაცვასაც შეიძლება მოიცავდეს და მას განიხილავს, როგორც ეკონომიკის ზრდის წინაპირობად (Garcia & Arnoldo, 2018).
3. პრივატიზაცია შემდგომი პრინციპია, რომელიც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ნეოლიბერალურ პოზიციებში. იგი გულისხმობს სახელმწიფო ქონების, რესურსების, წიაღისეულის, ინდუსტრიების, ელექტროენერგიისა და სხვა სიმდიდრისა და ქონების კერძო პირებზე გასხვისებას, ასევე სასწავლებლების კერძო მფლობელობაში აღმოჩენას. ეს პრინციპი საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობად განიხილება, თუმცა აქვე სახელდება ის პრობლემა, რაც გამოიხატება პრივატიზაციის შედეგში და გულისხმობს, რომ სიმდიდრე მცირე ჯგუფების ხელში კონცენტრირდება (Garcia & Arnoldo, 2018).
4. ინდივიდუალიზმი და თავისუფლება მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს ნეოლიბერალურ ფორმაციაში. მასზეა დაფუძნებული მთელი რიგი პრინციპებისა, რაც ნეოლიბერალიზმს ახასიათებს. ჰაიეკის თქმით, თუკი ეკონომიკაში მოხდება ჩარევა ეს საფრთხეს შეუქმნის ინდივიდის თავისუფლების პრინციპს და იგი ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის შემთხვევაში ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მიიყვანს ტოტალიტარიზმამდე და ინდივიდის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს (ჰეივუდი,

2004, გვ. 62-63). თავისუფლების იმგვარი გაგება, რასაც ეყრდნობა ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს ნეგატიური თავისუფლების ტიპს, რომელიც ძირითადი ღირებულებაა ამ იდეოლოგიისთვის. (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2014)

დევიდ ჰარვი საკუთარი ნაშრომის(„ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია“) ერთ-ერთ თავში - „ნეოლიბერალური სახელმწიფო“, განიხილავს ნეოლიბერალური სახელმწიფოს თეორიულ შინაარსს. იგი ახასიათებს მას , როგორც სისტემას , რომელიც უნდა ემხრობოდეს პირადი საკუთრების მყარ უფლებას, სადაც ინდივიდუალიზმი, ინდივიდუალური უფლებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი ასევე უნდა ეყრდნობოდეს კანონის უზენაესობას, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის იდეის განმახორციელებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებას. არსებული განსაზღვრებები თავისმხრივ უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს და მის გარანტად გვევლინება. თავისუფალ ბაზარზე სამართლებრივი მხარე უზრუნველყოფილია და ურთიერთობები დაფუძნებულია თავისუფალ მოლაპარაკებებზე იურიდიულად განსაზღვრულ პირებს შორის კონკრეტული საკონტრაქტო ვალდებულებებით. გაწერილი და ჩამოყალიბებული შეთანხმებები ხელშეუხებელია, ხოლო გამომხატვისა და არჩევანის თავისუფლებები დაცული. ეს ქმნის გარკვეულ წინარე ბაზისს, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს ნეოლიბერალური სახელმწიფო თეორიაში. ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ ის თუ რა დამატებით როლს ანიჭებს დევიდ ჰარვი სახელმწიფოს, როგორ წარმოიდგენს მას და ახასიათებს. მისი თქმით სახელმწიფო უნდა გახდეს და იყოს გარანტი ზემოთ ჩამოთვლილი თავისუფლებების და ნებისმიერ ფასად უნდა დაიცვას ის თუნდაც ძალადობრივი ჩარევის მონოპოლიური უფლების გამოყენებით. შესაბამისად ფუნდამენტურ სიკეთედ გვევლინება ბიზნესის თვისუფალი მოქმედება, თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც მოქმედებს აწ უკვე განსაზღვრულ ინსტიტუციებში, ხოლო მათი შეზღუდვა არ ხდება. ისინი წარმოადგენენ სიმდიდრის შექმნის წინაპირობას. აქვე თეორია საუბრობს სიღარიბის აღმოფხვრის გზაზე, რომლის მთავარ წინაპირობად სწორედ თავისუფალ ბაზარსა და ვაჭრობას განიხილავს. წარმოების უწყვეტი ზრდა კი ქმნის უკლებლივ ყველასთვის ცხოვრების მაღალ დონეს (ჰარვი, 2017).

ნეოლიბერალები ემხრობიან პრივატიზაციის პოლიტიკას, რადგან მათთვის კერძო საუთრების უფლების არარსებობა ადამიანის კეთილდღეობის, განთვითარების შეფერხების წინაპირობაა. მათი აზრით ქონება, რომელიც შესაძლოა წარსულში ან ახლა ეკუთვნოდა ან ეკუთვნის სახელმწიფოს უნდა გადავიდეს კერძო მფლობელობაში და მოხდეს ყოველგვარი ტიპის სახელმწიფოს გავლენისგან და ჩარევისგან გათავისუფლება. ეს კი აყალიბებს ნეოლიბერალიზმში შემდგომ მთავარ ფასეულობას, რაც გადის კონკურენციაზე. წინამდებარე აზრი შეგვიძლია დავუქვემდებაროთ ლოგიკას, რომელიც კერძო საკუთრებაში ქონების გადასვლას მისი მოქნილად და „წარმატებულად“, ეფექტიანად, პროდუქტიულად გამოყენების საშუალებად მიიჩნევს, ვიდრე ეს შეიძლება მოხდეს სახელმწიფო მფლობელობის მაგალითზე. საბოლოოდ კი ეს წესები იძლევა საბაზრო კონკურენციის პრინციპების უცილობლად დაცვის გარანტიების არსებობის აუცილებლობას, ხოლო ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უკავშირდება გლობალურ ბაზარს, სადაც სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები მიმდინარეობს (ჰარვი, 2017, გვ. 5-6).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩამოყალიბებულ ეკონომიკას უწოდებენ „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკას“ ან უბრალოდ „გარდამავალ ეკონომიკას“. თავის მხრივ ეს ტერმინები მოიცავს იმ აზრს, რომ აქ საუბარია თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხებზე, სადაც განარჩევენ ორ მიმართულებას - ტრადიციულ და ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას, რასაც მიეკუთვნება პოსტსაბჭოთა სივრცისა და ლათინური ქვეყნების ეკონომიკები, ასევე ჩინეთიც (პაპავა, 2002).

მაგალითად ჩილეს ეკონომიკის ნეოლიბერალურ რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მილტონ ფრიდმანის ნეოლიბერალიზმის პრინციპების მიმდევართა ჯგუფმა - „ჩიკაგოს ბიჭები“ (Harvey, 2005, გვ. 8).ჩილე გახდა ნეოლიბერალური ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი, რამაც გადაინაცვლა სხვა ქვეყანებში.

საქართველომ დამოუკიდებლობისმოპოვების შემდეგ მყისიერად დაიწყო საბაზრო ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა, რასაც თავისმხრივ მოჰყვა პრივატიზაციის პოლიტიკის, ახალი ეკონომიკური მოდელისა და პოლიტიკის გატარების, დანერგვის მცდელობა.ხსენებულ პერიოდსა და ვითარებას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს,

„ეკონომიკური სასწაულის“ სახელით მოიხსენიებენ (პაპავა, 2002, გვ. 31-32).დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოში „ვაშინგტონის კონსენსუსი“ ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის აღმოფხვრის საშუალებად წარმოჩინდა.

„ვაშინგტონის კონსენსუსი“ - ეს დასახელება და კონცეფცია პირველად 1989 წელს გაჩნდა ჯონ ვილიამსონის (ეკონომისტი, ვაშინგტონში არსებული ეკონომიკის საერთაშორისო ინსტიტუტი) მიერ. ვილიამსონი იყენებდა ტერმინს “შეჯამება” საზოგადოებრივად განაწილებული პოლიტიკის თემების მიმართ, რის ადვოკატირებასაც, ამავდროულად, ვაშინგტონში არსებული ინსტიტუტები ახდენდნენ. ეს ინსტიტუტები იყო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და შეერთებული შტატების სახელმწიფოხაზინის დეპარტამენტი, რომელთა დანიშნულებაც ერთგვარად იყო 1980-იან წლებში ლათინურ ამერიკაში შექმნილი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა.1990-იანი წლებიდან “ვაშინგტონის კონსენსუსი” პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის ძირითად სარეკომენდაციო ბაზად იქცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის. “ვაშინგტონის კონსენსუსში” მოცემულია ეკონომიკურ პოლიტიკაში გასატარებელი 10 რეფორმა:

1. ფისკალური დისციპლინის დამყარება (ბიუჯეტის მინიმალური დეფიციტი).
2. სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის, განათლების და ინფრასტრუქტურის პრიორიტეტულობა.
3. არსებული საგადასახადო განაკვეთების შემცირება.
4. ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია, რათა რეალური საპროცენტო განაკვეთი შენარჩუნებული იქნას დაბალ, მაგრამ დადებით დონეზე.
5. ეროვნული ვალუტის თავისუფალი გაცვლითი კურსი.
6. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია (ძირითადად საიმპორტო ტარიფების შემცირების გზით).
7. უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის შეზღუდვების შემცირება.
8. პრივატიზაცია.
9. ეკონომიკის დერეგულირება.

10. საკუთრების უფლების დაცვა“ (USAID, 2012, გვ. 7-8)

ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებასა და განხორციელებას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, თუმცა საერთო პრინციპების დონეზე ისინი ერთმანეთს ეხმიანებიან. სახელმწიფოს როლის შესუსტება, პრივატიზაციისა და დერეგულაციის პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფოზე დაკისრებული კერძო საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობა, ინდივიდის თავისუფლების პრინციპის განხორციელება და საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, როგორც მოგების ზრდის ხელისშემშლელი აქტორის შეკავება ნეოლიბერალური ექსპერიმენტის ქვეშ მყოფი ქვეყნების მახასიათებელი ნიშნებია. თითოეულ ქვეყანაში იგი ვითარდებოდა და ავითარებდა თავის წესრიგს სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით.მაგალითად დიდ ბრიტანეთში „ტეტჩერიზმის“ სახელით ცნობილი პოლიტიკა ხასიათდებოდა ნეოლიბერალური რეფორმებით, „რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა გადასახადების შემცირება, რეგულაციების შემცირება, ნაციონალური ინდუსტრიათა პრივატიზება და პროფკავშირების მაქსიმალური დაქსაქსვა. (Steger & Ravi K. Roy)“რაც შეეხება რეიგანის პოლიტიკას ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ განხორციელებულ ნეოლიბერალურ რეფორმებს უნდა აღინიშნოს ფედერალური მიწების დიდი ნაწილის პრივატიზაცია. (Steger & Ravi K. Roy, გვ. 34)დერეგულირების პოლიტიკის დაწყება კი მისი წინამორბედი პრეზიდენტის სახელს, კარტერს უკავშირდება, თუმცა რეიგანმა გააგრძელა და ამასთანავე გაატარა სხვა რეფორმებიც, რის შედეგადაც შემცირდა გადასახადები, შეიკვეცა საბიუჯეტო დანახარჯები და პროფესიული მოძრაობების გავლენის წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ძალადობრივიც, იქნა გამოყენებული (Harvey, 2005, გვ. 19-31).ნეოლიბერალური ექსპერიმენტის კლასიკური მაგალითი ჩილეს შემთხვევაა. სწორედ ეს შემთხვევაა ნაომი კლაინის მიერ „შოკურ თერაპიად“ წოდებული ეკონომიკური პოლიტიკისგან შექმნილი. ალექსანდრე ტარასოვი თავის სტატიაში საუბრობს ალიენდეს დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დამხობის შემდგომ ხელისუფლებაში მოსული პინოჩეტის დროინდელ ჩილეში გატარებულ რეფორმებზე, რასაც „შოკის დოქტრინა ითვალისწინებდა“:

1. სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია

2. ფასებზე კონტროლის გაუქმება
3. საშემოსავლო გადასახადის გაზრდა
4. ხელფასების გაყინვა
5. სახელმწიფო სექტორში კაპიტალდაბანდებების შემცირება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პინოჩეტი დაუპირისპირდა პროფესიულ კავშირებს. 1988 წლამდე მოქმედი ე.წ. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი „აუქმებდა“ გაფიცვებს, ხოლო პროფესიული კავშირები სამხედრო ხუნტას ემორჩილებოდნენ (Тарасов, 2001).

მოცემული შემთხვევები გარკვეულწილად წარმოდგენას ქმნის ნეოლიბერალიზმის შესახებ პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გვაძლევს გაანალიზების საშუალებას თუ რა მიმართებაა ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხედვასა და პროფესიულ კავშირებს, მშრომელთა ორგანიზების საკითხებს შორის. ამ მაგალითების ფონზე შეგვიძლია დავინახოთ და პარალელები გავავლოთ საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშრებით და ნეოლიბერალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხედვებთან თეორიასა და პრაქტიკაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგზვიად გამსახურდიას პერიოდში პრივატიზაციის პროცესი არ დაწყებულა, ფასების ლიბერალიზაცია მოხდა, თუმცა უმნიშვნელოდ, ხოლო შემდგომ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, პრემიერ მინისტრმა თენგიზ სიგუას პერიოდში დაიწყო მიწის პრივატიზაცია, შემუშავდა საკანონმდებლო ჩარჩოები საწარმოების გასასხვისებლად და კერძო მესაკუთრეების ხელში გადასაცემად, რესტრუქტურიზირდა გადასახადები (ჯონსი, 2013).

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობა წარადგენს პროგრამას, სადაც ეკონომიკურ ნაწილში მისი პოლიტიკა შემდეგნაირად არის განსაზღვრული და ემყარება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო სისტემის გამარტივება, კერძო საკუთრების დაცვის მყარი და ხელშეუხებელი გარანტიები და ა.შ. 2004 წლის 27 დეკემბრის მთავრობის დაზუსტებულ პროგრამაში წერია ეკონომიკური კურსის საბაზისო მნიშვნელობის საკითხები რაც მოიცავს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, სადაც

გადასვლა ხდება საბაზრო ეკონომიკაზე, უქმდება ზედმეტი რეგულაცია, გრძელდება აგრესიული პრივატიზაციის პოლიტიკა (USAID, 2012, გვ. 26-28).

რეფორმების პერიოდში ქვეყანა ირჩევს კურსს, რომლის შედეგადაც 2006 წელს უქმდება შრომის ინსპექცია, ხოლო დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობაში სახელმწიფო უმნიშვნელოდ ერევა (საქართველოს პარლამენტი, 2010).ფაქტობრივად მშრომელი და მესაკუთრე რჩებიან ერთმანეთის პირისპირ. ურთიერთობები ემყარება ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს, რომელიც დამახასიათებელია ნეოლიბერალური ფორმაციისთვის. პრივატიზაციის პოლიტიკის შედეგად გასხვისებული ობიექტების რიცხვს ემატება ინდუსტრიულ ზონებში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საწარმოები, რომლებიც ერთადერთ ძირითად საარსებო წყაროებს წარმოადგენს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულებისთვის, სადაც მშრომელებს უწევთ მძიმე შრომით პირობებში მუშაობა. უმუშევრობისა და სიღარიბის ფონზე დასაქმების ადგილების გაჩენამმოსახლეობა იძულებული გახადა დათანხმებულიყო შემოთავაზებულ პირობებზე.

სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პოლიტიკამ, კერძო სექტორის უკონტროლო მდგომარეობაში დატოვებამ, შრომის ინსპექციის გაუქმებამ, პროფესიული კავშირების სისუსტემ და იმ სახის შრომის კოდექსის მიღებამ სრული თავისუფლება დაუტოვა დამსაქმებელს საკუთარი მოგების გაზრდაზე ფიქრისთვის მიუხედავად იმისა თუ რა მძიმე ვითარებაში უწევდათ დასაქმებულებს დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობა, რადგან კონტროლის მექანიზმი მშრომელთა უფლებების დასაცავად გამქრალი და შესუსტებული იყო.

პრეკარული შრომა და ორგანიზების შეუძლებლობის მიზეზები

მშრომელთა ატომიზაციის პროცესის დაჩქარების სურვილი საფუძვლად ედო ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმებას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ეს პრინციპი პირდაპირ კავშირშია ინდივიდუალიზმის ნეოლიბერალურ გაგებასთან. ამ შემთხვევაში დამსაქმებელს მრავალი ბერკეტი რჩება აკონტროლოს საკუთარ საწარმოში დასაქმებული ადამიანი და იმოქმედოს მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ინდივიდუალური მოლაპარაკების მოდელი,დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ნეოლიბერალიზმისპრინციპებში არსებული ხედვები,ეწინააღმდეგება კოლექტიურ მოქმედებასმშრომელთა მხრიდან საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის პროცესში, რაც თავისთავად უკუაგდებს პროფესიული კავშირებისა თუ მშრომელთა ორგანიზების პრინციპს და ერთობის მოწინააღმდეგედ გვევლინებ. ამასთანავე თითოეულ დასაქმებულს აღიქვამს არა კოლექტიურ ერთობად, რომლებიც ერთ სივრცეში, ერთ შრომით პირობებში, ერთნაირ ხელფასზე, ერთსა და იმავე საწარმოში, ქარხანაში თუ დასაქმების ადგილას მუშაობენ, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ კოლექტიური ხელშეკრულება და გართულდეს მშრომელთა უფლებების დარღვევის პროცესი დამსაქმებლის მხრიდან, არამედ ის მუშებს ხედავს როგორც თითოეულს, განცალკევებულს დამსაქმებლის, როგორც „ერთის“ წინაშე, ერთმანეთის პირისპირ.

კარგად უნდა გავაანალიზოთ ის მიზეზები თუ რას რატომ თანხმდება დასაქმებული დამსაქმებელს, კონკრეტული ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე და არის თუ არა სხვა ფაქტორები, რასაც ნეოლიბერალური პოლიტიკა შეიძლება იწვევდეს მშრომელთა და პროფესიული კავშირების ორგანიზების წინააღმდეგ?

ის ვინც ფლობს მსხვილ კაპიტალს და არის კერძო სექტორში ერთ-ერთი დიდი აქტორი, ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ელიტის ნაწილსაც. მათ ვისაც გააჩნიათ ეკონომიკური ძალაუფლება ფლობენ პოლიტიკურ ძალაუფლებასაც. არსებული პრაქტიკა არ გვხვდება მხოლოდ სახელისუფლებო ძალების ბოლო ცვლილების პერიოდში, როდესაც რამდენიმე ათეული მილიონერით კომპლექტდებოდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო და

ასევე მსხვილი კაპიტალის მფლობელებისგან შედგებოდა მთავრობა, არამედ არსებული პრაქტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უცვლელია. (კვირის პალიტრა, 2017) ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებაში მონაცვლეობენ ან ახასიათებს კავშირი სხვადსხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან. ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ დასახლებებს ან ამ დასახლებულ პუნქტებში არიან დამსაქმებლის როლში. როდესაც წინააღმდეგობა ამ სივრცეებში ჩნდება სახელმწიფო აპარატი, რომელიც აღიარებს კერძო საკუთრების უფლების დაცვას და ნეოლიბერალიზმში სახელმწიფო ამგვარ წრმონაქმნად გვევლინება წინააღმდეგობების ჩასახშობად ან უბრალოდ კონტროლის მექანიზმად „სიმშვიდის“ პერიოდში პრევენციის მიზნით გამოყენებულია სახელმწიფო ან კერძო კომპანიის პოლიციური აპარატი, რაც თავის მხრივ მოქმედებს ორგანიზებაზე წარმოქნის პრობლემებს და იწვევს დეზორგანიზებას.ყველაფერს ზურგს უმაგრებს ხშირ შემთხვევაში დასაქმების ადგილებზე არსებული „ყვითელი პროფკავშირები“, რომლებიც დაკომპლექტებული არიან საწარმოს ხელმძღვანელობასთან ლოიალური დამოკიდებულების მქონე პირებით ან დასაქმებულები არიან მაღალ თანამდებობებზე. ისინი აიძულებენ მშრომელებს მოექცნენ ისეთ გაერთიანებაში, რომლის მეშვეობითაც კონტროლის ქვეშ მოაქცევენ მათ. ეუბნებიან, რომ ან მათთან იქნებიან ან კიდევ სამსახურს დაატოვებინებენ ან დაცვის თანამშრომლების მეშვეობით აშინებენ (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017).

მშრომელის სამსახურიდან დათხოვნის მუქარა კომპანიისთვის ისეთ ბერკეტს წარმოადგენს, რითიც კონტროლისა და გავლენის დამყარებას ცდილობს დასაქმების ადგილას. სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში მშრომელს რჩება ის გზა, რომ ან ალტერნატიულ სამუშაოზე იფიქროს, რაც ხშირად შეუძლებელია ისეთ ქალაქებში, სადაც ერთი მთავარი, ცენტრალური სამუშაო კომპანია არსებობს და მეორე შემთხვევაში სასამართლო დავის გზას მიმართოს ან გააპროტესტოს მისი სამსახურიდან გამოშვება. სამართლებრივი გზა დიდ დროს მოითხოვს და უფრო მეტად მშრომელებში ეს აპათიას იწვევს.ისინი დიდხანს ვერ დაიცდიან და ამ პერიოდში სანამ სასამართლო განიხილავს საკითხს, მიიღებს გადაწყვეტილებას და სანამ გადაწყვეტილება აღსრულდება მშრომელი ისეთი პრობლემების წინაშედგება, როგორიცაა ოჯახის რჩენა, საფინანსო ორგანიზაციების

ვალები და დიდი ხანი მას უმუშევარი ყოფნა პრობლემებს კიდევ მეტად გაუზრდის. გაფიცვაში მონაწილეობის მიღების გამო ან სხვა წინააღმდეგობრივ მოქმედებებში ჩართვა სამსახურის დაკარგვის ტოლფასიც შეიძლება გახდეს და აქ იჩენს სწორედ თავს სისტემისა და დამსაქმებლის ბერკეტი, რაც მშრომელთა ორგანიზების პრობლემას წარმოშობს („ესმა გუმბერიძე: ერთი დღე ჭიათურაში“, 2018).მშრომელები ამბობენ, რომ დავა შესაძლოა რამდენიმე თვე გაიწელოს და მათთვის რთულია ლოდინი. ასევე სხვა მშრომელები ხედავენ გაწელილ პროცესებს, როცა კომპანია ყველა ინსტანციას მიმართავს სასამართლოში და ასაჩივრებს საქმეებს და აღნიშნავენ, რომ ისინი ამდენი ხანი უმუშევარი ყოფნას ვერ შეძლებენ (ჭიათურა: კონტროლი და სიძულვილი“, გიორგი ღვინჯილია, 2016).

მშრომელებს გარდა იმისა, რომ საარსებოდ სჭირდებათ სამსახური, სადაც თავისი შრომით გამოიმუშავებენ ანაზღაურებას, რომელიც არასაკმარისია, ასევე რჩებიან საფინანსო ორგანიზაციების პირისპირ, რომელთა მაღალი განაკვეთები, არაპროფილური საქმიანობები და დერეგულირებული სფერო კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს მათ. დაბალი ანაზღაურების პირობებში და სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს მინიმალური სახელფასო ზღვარი, რადგან ისევ და ისევ ნეოლიბერალიზმის პრინციპები იჩენს თავს, რათა კერძო მესაკუთრეს მოგების გაზრდაში ხელი არ შეეშალოს და იმუშავოს პრინციპმა „მინიმალური დანახარჯი მაქსიმალური მოგება“, დასაქმებული რჩება დაუცველ ვითარებაში. ამის გააზრება კი ორგანიზებას მეტწილად ხელს უშლის მაშინ, როცა ქვეყანაში დამატებითი ფაქტორი სუსტი პროფკავშირია, რაც თავისმხრივ სისტემის შინაარსიდანაც გამომდინარეობს. შესაბამისად ორგანიზება რთულდება და მშრომელი იძულებულია დათანხმდეს შეთავაზებულ პირობას. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გავლენა და დაშინების მექანიზმი, რასაც იყენებს დამსაქმებელი თუ ეკონომიკური ძალაუფლების კონტროლქვეშ მოხვედრილი სახელმწიფო ერთმანეთთან სინქრონულ მოქმედებაში მშრომელისა და მშრომელთა ორგანიზების წინააღმდეგაა მიმართული.

ჩამოთვლილ ყოფით მიზეზებთან ერთად, ნეოლიბერალიზმის მშრომელთა ორგანიზების წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი იარაღი არასტაბილური შრომის ჩამოყალიბების

პოლიტიკა გახდა. გაი სტენდინგი თავის წიგნში „პრეკარიატი: ახალი საშიში კლასი“ პრეკარიატს სამი პარამეტრის მიხედვით განსაზღვრავს:

1. „პრეკარიატს განსხვავებული წარმოების ურთიერთობები აქვს. ეს მოიცავს არასტაბილურ შრომას, „მოქნილი“ კონტრაქტებით, რეზერვში მყოფად, შტატგარეშე, ფრილანსერობას, არასრულ განაკვეთზე ან პერიოდულ მუშაობას დამსაქმებლებისთვის.
2. მეორე ისაა, რომ პრეკარიატს განსხვავებული განაწილების ურთიერთობები აქვს. იგი მხოლოდ ხელფასს ეყრდნობა, ყოველგვარი პენსიების, ანაზღაურებადი შვებულებების, შეღავათებისა და სამედიცინო მომსახურების გარეშე.
3. პრეკარიატს აქვს განსხვავებული ურთიერთობები სახელმწიფოსთან. ისინი, ვინც მოქალაქისთვის მინიჭებულ უფლებებს კარგავენ, მოქალაქეობის უფლებამიღებული უცხოელების (დენიზენების) დონეზე დგებიან“ (ვაწაძე & ბერაია, 2017)

არასტაბილური შრომა, „მოქნილი“ კონტრაქტები, რეზერვში მყოფი, შტატგარეშე მშრომელები საქართველოში არსებული ეკონომიკური წესრიგისთვის დამახასიათებელი საქმიანობის სფეროებია და ხელშეკრულების ისეთი ტიპია, რომელიც მომსახურების სფეროში, არასტაბილური შრომის ადგილებზე გვხვდება.სუპერმარკეტებში, მაღაზიათა ქსელებში, რესტორნებსა თუ კაფეებში, სასტუმროებში და მომსახურების სფეროს სხვა სივრცეებში დასაქმებულები არასტაბილურ შრომას ეწევიან, ამავდროულად ასეთ ადგილებში ხშირად რეზერვში ამყოფებენ კადრებს და არასათანადო ანაზღაურებითა თუ ზედმეტი სამუშაო საათებით ტვირთავენ. ასრულებინებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც არ შედის მათ მოვალეობაში, ხოლო შრომის ბაზარზე სისტემის მოქნილობა იმაში ვლინდება, რომ ასეთი ტიპის სამსახურებში შრომითი ძალის მიმოცვლა მუდმივად ხდება, ხოლო დასაქმებული მეტწილად საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლის დაწყებას ერიდება, რადგან იგი არ მიიჩნევს, რომ ამ სამსახურში დიდი ხნით გაჩერდება. ხელფასის დაბალ ზღვარს განაპირობებს უმუშევრობის დონე და სამსახურის დაწყების მსურველთა მაღალი რაოდენობა, რაც დამსაქმებელს არ აშინებს, რომ პირობების ან ხელფასის გამო უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევაში ვინმე სამსახურს დატოვებს და მას სამუშაო ძალის

მოძებნა გაუჭირდება, რადგან ბაზარზე მუდმივად მონაცვლეობს დასაქმების მსურველთა დიდი რიცხვი, რომლებიც თანახმანი არიან დაბალ ანაზღაურებაზე არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე და პირობებზე, რომელიც დღითიდღე უფრო უმძიმდებათ დასაქმების შემდგომ პერიოდში. მშრომელებს უწევთ სხვადასხვა სამუშაოების შეთავსება, მინიმალურ ხელფასზე, მრავალი საათის განმავლობაში. მათ აჭრიან თანხებს ხელფასიდან ჯარიმების სახით. „მოქნილი“ ხელშეკრულება სწორედ ამას გულისხმობს დასაქმების ადგილზე მაღაზიათა ქსელებში. მომსახურების სფეროს პროფესიული კავშირი „სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრის“ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ვიდეო, სადაც მაღაზიათა ქსელში დასაქმებული თანამშრომლები საუბრობენ თავის შრომით პირობებზე ნათლად ასახავს იმ რთულ ვითარებას, რასაც პრეკარული შრომა ჰქვია.

ძირითადად პრეკარული შრომის სივრცეებად მომსახურების სფერო წარმოჩნდება, სადაც ადამიანები სტაბილურ შრომას არ ეძებენ და დროებით მიდიან სამომავლო პერსპექტივების მოლოდინში.შრომის ეს ტიპი პირდაპირ წარმოაჩენს ნეოლიბერალიზმის პრინციპების განხორციელების ნათელ მაგალითს, სადაც სამუშაო ძალის მიმოცვლა მარტივად ხდება, რის გამოც სერვისის სფეროში დასაქმებულებს, ხშირ შემთხვევაში, არ უღირთ ბრძოლის პროცესის - სამართლებრივი თუ პოლიტიკური გზით - წარმოება. ისინი არჩევენ ან სამსახურიდან წამოსვლას ან ინდივიდუალურად ზემდგომ რგოლებთან თუ დამსაქმებელთან პროტესტის ფორმით საკუთარი კრიტიკული პოზიციის დაფიქსირებას და სამუშაო სივრცის დატოვებას. ხშირ შემთქვევაში ის ფაქტორები როლს თამაშობს თავის როლს, რომ დასაქმებულისთვის კონკრეტულ სამსახურში გაწეული შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვანია იმ მომენტისთვის და თავს იკავებს წამოსვლისგან ან ორგანიზებისგან. შესაძლოა არსებობდეს სხვა ფაქტორებიც ხელმძღვანელი პირების მხრიდან, თუმცა არასტაბილური შრომის შინაარსი მათ მიჯაჭვულობას ვერ ახდენს დასაქმების ადგილზე და ვერ აჩენს მიკუთვნებულობას სამუშაოზე, სადაც მშრომელმა შესაძლოა წინასწარი განსაზღვრით დროებით დაიწყო მუშაობა და რომ ის არ არის ერთადერთი დასაქმების ადგილი. სხვა შემთხვევაში არსებობს პოზიცია დამსაქმებლის მხრიდან, რომლის მიხედვითაც მას მარტივად შეუძლია მოძებნოს სამუშაო ძალა და ახალი თანამშრომელი.

ასეთ პირობებში არ უნდა გამოგვრჩეს ქალთა შრომა, რომელიც გაცილებით რთულ ხასიათს ატარებს. ანაზღაურების თვალსაზრისით ქალთა შრომა შედარებით დაბალია. მათ ასევე უწევთ „უხილავი შრომა“, იგივე საშინაო საქმეების შესრულება. მათი დასაქმების სფეროები სპეციფიურია, თუმცა მოთხოვნა პრეკარულ შრომაში უფრო მეტია ქალთა მიმართ ვიდრე ინდუსტრიული ტიპის სამუშაო ადგილებზე. აქვე ვაწყდებით იმ ფაქტორსაც, რომ მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალები ვერ სარგებლობენ ისეთი სიკეთეებით, როგორითაც მაგალითად ინდუსტრიულ ზონებში დასაქმებულები. ეს სიკეთეები შეიძლება იყოს დეკრეტული შვებულება, ჯანმრთელობის დაზღვევა, თუნდაც არა „მოქნილი“ შრომითი ხელშეკრულება და სხვა, რაც თავის მხრივ დამსაქმებელს აძლევს საშუალებას იმოქმედოს უფრო მოქნილად, გამოიყენოს უპირატესობა თავის სასიკეთოდ. ასევე ქალები განიცდიან სექსუალურ შევიწროებას სამუშაო ადგილებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არანაკლებ ფიზიკური დატვირთვით მუშაობენ და ეს დამატებითი აუნაზღაურებელი შრომის ხასიათს ატარებს. ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს. შეიძლება ადამიანი იყოს კონსულტანტი და ამავდროულად დამლაგებლის საქმესაც ითავსებდეს (კამლაძე, 2017).

პრეკარული შრომის ხასიათზე საუბრისას და სტაბილური დასაქმების ადგილების მის განსხვავებულ შინაარსთან შედარებისას, როგორიც ინდუსტრიულ ზონებში არსებული საწარმოები ან ფაბრიკებია, უნდა აღვნიშნოთ თუ როგორ შეაღწია „სტაბილური“ დასაქმების ადგილებში პრეკარულმა შრომამ. ქვეყანაში დაიწყო შრომითი ძალის გადინება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით. ტყიბულის მაგალითზე მეშახტეების მცირე ნაწილი საზღვარგარეთ გაემგზავრა ალტერნატიული დასაქმების ადგილების საძიებლად. ნეოლიბერალური წესრიგი მსოფლიოს მაშტაბით პრეკარული შრომის გლობალურ, სახელმწიფოთაშორის მასშტაბებზე გავიდა, რაც სამუშაო ძალის ქვეყნიდან გადინაებაში წარმოჩინდა სხვა ქვეყანაში სამუშაოს ძებნის მოტივით. სწორედ გლობალური ფორმით პრეკარული შრომის „სტაბილური“ დასაქმების ადგილებზე შეღწევის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი მიმოსვლა. მომსახურების სფეროს მაგალითზე მიკრო დონეზე არ გვხვდება მრავალი სხვადასხვა კომპანია დასაქმების ადგილებად, რადგან მაღაზიათა ქსელი რამდენიმე შეიძლება არსებობდეს ქვეყანაში, ხოლო შახტა ერთია, თუმცა

იგივე სამუშაოს მოძებნა სხვა ქვეყნებში არსებულ გლობალურ ეკონომიკურ პირობებში შესაძლებელი გახდა. შახტაში მუშაობის დასაწყებად სპეციფიური ცოდნის განსაკუთრებული დაუფლების საჭიროება არ არსებობს. მისი არასტაბილური ხასიათი გამოიხატება დამსაქმებლის მხრიდან ისეთი პირობების შექმნაში, როდესაც ან თავად გიწევს სამსახურიდან წასვლა ან თვითონ დამქირავებელი გიშვებს. მიმართება მომსახურების სფეროსა და „სტაბილურ“ დასაქმების ადგილებს შორი კერძო კომპანიების მხრიდან ერთია: „თუ არ მოგწონს წადი“. რომ შევადაროთ პრეკარული შრომა „სტაბილური“ დასაქმების ადგილებს დავინახავთ, რომ ანაზღაურების შედარებითი თანაფარდობა შესაძლოა ამოვიკითხოთ, თუმცა რა თქმა უნდა მომსახურების სფეროს დიდ ნაწილში ეს რიცხვი მეტად დაბალია, თუმცა იქ დასაქმებულთა რიცხვი პროცენტულად გაცილებით მაღალი. განსხვავება იმაშიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ ერთ შემთხვევაში სტაბილური დასაქმების ადგილი ერთ კონკრეტულ საწარმოს წარმოადგენს დასახლებაში, ხოლო მომსახურების სფერო უფრო ფართო „არჩევანს“ სთავაზობს სამსახურის მაძიებელ ადამიანს, თუმცა ყველა ამ ტიპის სამუშაო ერთმანეთს ჰგავს ანუ არსებობს ბევრი ადგილი თუმცა ყველა ერთი და იმავე შინაარსით. ამის მიუხედავათ გამოკვეთილია ის ნიშნები თუ რამდენად არ განიცდის „სტაბილური“ დასაქმების ადგილას მიკუთვნებულობას დასაქმებული, შესაძლოა მისთვის ეს სულაც დროებით სამუშაო იყო, მაგრამ რა თქმა უნდა აქ ყველა დასაქმებული არ შეიძლება ვიგულისხმოთ.

პრეკარული შრომის ხასიათი პირდაპირ წარმოაჩენს კიდევ ერთ მიზეზს თუ რამდენად აცალკევებს სისტემა დასაქმებულებს და ხელს უშლის მათ ორგანიზებას. ეკონომიკური პოლიტიკა კი ამის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.დეზორგანიზების მცდელობის ყველა მეთოდი და გარემო პირობა ხელს უწყობს მშრომელთა ორგანიზებული წინააღმდეგობის წამოწყებას.

პროფესიული კავშირები და მშრომელთა ორგანიზების პრობლემები

პროფესიული კავშირების იდეოლოგიური საფუძვლები

პროფესიული კავშირების შესახებ არსებობს თეორიები, რომელიც თავის მხრივ განსხვავდება შინაარსითა და იდეოლოგიური დატვირთვებით. პროფესიული კავშირების შესახებ ხუთი თეორია გამოიყოფა:

1. რევოლუციური მიდგომა/თეორია პროფკავშირის შესახებ, შემუშავებულია კარლ მარქსის მიერ. ეს თეორია აგრეთვე ცნობილია, როგორც " კლასობრივი ომის და დიალექტიკური მატერიალიზმის თეორია". მარქსის მიხედვით. პროფკავშირი იყო მთავარი საორგანიზაციო ცენტრი,რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაოებს მუშათა კლასის ძალების გასაძლიერებლად. პროფკავშირი, მარქსის თანახმად, არის კაპიტალიზმის დაშლის ინსტრუმენტი. ამგვარად, ეს არის კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ინსტრუმენტი პროლეტარ მუშებსა და კაპიტალისტ ბიზნესმენებს შორის. მარქსი ავთარებდა იდეას,რომლის თანახმადაც მშრომელთა კლასი არ უნდა ჩამოცილებულიყო თავის რევოლუციურ პროგრამას,რადგან მხოლოდ მშრომელთა ბრძოლას შეუძლია კაპიტალიზმის დანგრევა. მარქსისთვის, მუშათა ემანსიპაცია უტოლდებოდა კაპიტალიზმის ჩამოშლას.
2. თეორია, რომელიც ცნობილია,როგორც "ინდუსტრიული დემოკრატიის თეორია", იყო ჩამოყალიბებული სიდნი და ბეატრის უებსების მიერ. უებსების თანახმად, პროფკავშირული გაერთიანება არის დემოკრატიის პრინციპის გაფართოება სამრეწველო სფეროში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფკავშირული გაერთიანება არაა კაპიტალიზმის დამხობის იარაღი,არამედ ის არის საშუალება,რომლის მეშვეობითაც შეიძლება გათანაბრდეს ძალები შრომასა და კაპიტალიზმს შორის. პროფკავშირული გაერთიანება იძლევიან იმის საშუალებას, რომ, ერთი მხრივ, მუშებმა შეძლონ მმართველი დიქტატურის

დაძლევა და, მეორე მხრივ, აიმაღლონ ხმა იმ პირობების განსაზღვრისთვის, რაშიც მათ შემდგომში მოუწევთ მუშაობა

3. "სამრეწველო იურისპრუდენციის თეორის" ავტორის- ს.ჰ. სლითჩერის თანახმად, მშრომელები, საკუტარი უფლებების დასაცავად ინდივიდუალურად მოლაპარაკებების დროს, ყოველთვის აგებენ მას დამსაქმებელთან. მისი აზრით,პროფკავშირული მიდგომა ემსახურება მშრომელთა უფლებების დაცვას სამუშაო ადგილებზე. პროფკავშირებისადმი ასეთ მიდგომას სლითჩერმა უწოდა : " სამრეწველო (ინდუსტირული) იურისპრუდენციის სისტემა".
4. აჯანყება - "ჯანყის თეორიის" ფუძემდებლის, ფრენკ თანენბაუმის მიხედვით, პროფკავშირული გაერთიანება არის მექანიზაციის ზრდის სპონტანური შედეგი. ის თვლის,რომ მანქანების/მოწყობილობების (დანადგარები და დაზგები იგულისხმება) გამოყენება იწვევს შრომელთა ექსპლუატაციას. ამგვარად, ეს მოწყობილობა არის მიზეზი და პროფკავშირული მოძრაობა, ანუ პროფკავშირული გაერთიანება - არის შედეგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფკავშირული გაერთიანება არის ამბოხებული მიდგომა ინდუსტიული საზოგადოების მექანიზაციის, ავტომატიზაციის წინააღმდეგ, საწარმოში მუშათა ინტერესების დასაცავად.
5. განდიანური მიდგომა პროფკავშირული გაერთიანებისადმი ეყრდნობა "მეტწილად, კლასობრივ კოლაბორაციას (თანამშრომლობას) , ვიდრე კლასობრივ კონფლიქტს და ბრძოლას". კაპიტალისტისგან მშრომელთა კუთვნილი სარგოს მიღების იდეამ, რეფორმებისა და მშრომელთა შორის არსებული თვითშეგნების დახმარებით, მიგვიყვანა პროფკავშირულ გაერთიანებამდე. ამგვარად, განდიანური მიდგომა პროფკავშირული გაერთიანებისადმი, არ არის დაკავშირებული მხოლოდ მატერიალურ ასპექტთან, არამედ ის აგრეთვე კავშირშია მორალურ და ინტელექტუალურ ასპექტებსაც. განდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირების ამოცანა არ არის სრულიად პოლიტიკური. პირიქით, მისი მთავარი ამოცანაა შიდა რეფორმა და შიდა ძალების განვითარება. გარდა ამისა, პროფკავშირული

გაერთიანება, განდის თანახმად, არ არის ანტიკაპიტალისტური, როგორც მას ხშირად წარმოაჩენენ ხოლმე (Chad, 2018).

არსებული თეორიები პროფესიული კავშირების იდეოლოგიურ ბაზისზე ამახვილებს ყურადღებას. იგი გამოყოფს და წარმოაჩენს იმ შინაარსს, რაზეც ემყარება პროფესიული გაერთიანებები. ბუნებრივია ამ თეორიების ხასიათი განსხვავებულია დაწყებული რევოლუციური ხედვიდან დასრულებული შემწყნარებლური იდეებით. გარკვეული მათგანი ეხმიანება დღეს არსებული პროფესიული კავშირების შინაარსს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით.

პროფესიული კავშირები საქართველოში - ისტორიული მიმოხილვა

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში იქმნება მუშათა კლასი. სამრეწველო კაპიტალიზმის ზრდა განაპირობებს მუშათა რაოდენობის მატებას ქვეყნის მასშტაბით. უცხოური კაპიტალის შემოდინება და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ფაქტორები თუ ინფრასტრუქტურული მშენებლობები განაპირობებს საწარმოთა რიცხვის ზრდას, რაც შესაბამისად მოითხოვს მშრომელთა რიცხვის ზრდასაც. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დასაქმებულთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. დაიწყო ქვეყნის სხვა რეგიონების განვითარება. შეიქმნა ახალი სარკინიგზო ხაზები, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა მშრომელთა რიცხვის მატება. ამ ვითარების პარალელურად თავი იჩინა სამუშაო საათების დიდმა რაოდენობამ, ყოფითმა პრობლემებმა, მძიმე სამუშაო მდგომარეობამ, დაავადებებმა და სიკვდილიანობამ, ხოლო მშრომელთა დაცვის ყოველგვარი ნორმების არარსებობამ განაპირობა ის , რომ მუშებმა დაიწყეს ფიქრი საკუთარი უფლებების მოპოვებისთვის (ცოტნე ცხვედიანი, საბაკალავრო ნაშრომი, 2017).

პროფესიული კავშირების ჩანასახი და მშრომელთა ორგანიზების ფორმები საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გვხვდება. ამ პერიოდში იქმნება საგაფიცვო ფონდები და იწყება ფართომასშტაბიანი გაფიცვების ორგანიზება. ჯერ კიდევ 1872 წელს მირზოევის ტანსაცმლის სამკერვალოს მუშაკი ქალები შეიკრიბნენ და გაფიცვა გამოაცხადეს პირობების და ხელფასის გასაუმჯობესებლად. ისინი აცხადებდნენ: “ასეთ პირობებში, ასეთ გასამრჯელოზე არ ვიმუშავებთ”. წამოყენებულ მოთხოვნაზე კი თავად მირზოევმა შემდეგი პასუხი მიუგო: “თქვენთვის ეს ჯამაგირი მეტია, ვინემ გეკუთნით. თუ არ გინდათ, მუშახელის მეტი რა არის, აგერ ტუსაღები იხვეწებიან და მათ დავასაქმებო” (გაზეთი ცნობის ფურცელი, 1905).

უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ უამრავი ცნობა გაზეთებში, სადაც მშრომელთა გაფიცვებზე იუწყებიან. იწყება ბათუმ-სამტრედიასა და ფოთს შუა რკინიგზის მუშათა გაფიცვა (გაზეთი ივერია, , 1905), იფიცებიან დავით სარაჯიშვილის ღვინის ქარხნის მუშები (გაზეთი ტალღა, 1906) გრძელდება კონდუქტორთა ვატმანთა და

საერთოდ მუშათა გაფიცვა (გაზეთი ცნობის ფურცელი, 1905), იფიცებიან ქუთაისში სამკერვალოს მუშები და მათი წინააღმდეგობა უფრო ფართო და მოცულობითი ხდება. წინააღმდეგობა იწყება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. იწყება ჭიათურაში მაღაროს მუშათა გაფიცვა (გაზეთი ლამპარი, , 1906,) და იგი რამდენიმე დღეში საყოველთაო გაფიცვის ხასიათს იღებს. ასე ვრცელდება უფლებებისთვის ბრძოლის პროცესი მეოცე საუკუნის დასაწყისში.

პირველი ფართომასშტაბიანი გაფიცვა 1908 წელს რკინიგზელთა მიერ შედგა. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამუშაო პირობებთან და ათ საათამდე გაზრდილ სამუშაო დღის გრაფიკთან დაკავშირებით. მუშათა ორგანიზაციებს არ გააჩნდათ მხოლო ეკონომიკური მოთხოვნები, მათი ერთობების პირველი შინაარსი სოციალ-დემოკრატიული ხასიათის იყო და პოლიტიკურ პოზიციებსაც უყენებდნენ ხელისუფლებას. ამ პერიოდში იქმნება მუშათა „საგაფიცვო სალაროები“. სოციალ დემოკრატიული პარტია 1901 წელს გამოდიც მოთხოვნით, რაც უკავშირდება გაფიცვის თავისუფლებას, მუშაკთა და „საგაფიცვო სალაროების“ შექმნას. წინააღმდეგობის პროცესმა შედეგი გამოიღო და 1906 წელს რთულ ვითარებაში მყოფმა სახელმწიფომ აღიარა პროფესიული კავშირები და ლეგალურად სცნო. თუმცა არ დააყოვნა იმ პერიოდმა, როდესაც პროფესიულ კავშირები დასუსტდა. ბოლშევიკური და მენშევიკური ფრთა ერთმანეთს უპირისპირდებოდა. 1908-1910 წლებში შესუსტებული პროფესიული კავშირების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში შედიოდა პროფესიული კავშირების ორგანიზაციებისა და გაზეთების დახურვა, მასობრივი დაპატიმრებები. მიუხედავად ამისა არ შეწყვეტილა წინააღმდეგობა და ბრძოლა უფლებებისთვის.1912 წელს მომხდარმა შემთხვევამ, ლენის ოქროს საბადოს მუშების დახვრეტამ, რევოლუციური მოძრაობების განახლება გამოიწვია. გაფიცვები იწყება საქართველოში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი აფერხებს პროფესიულ კავშირთა მოქმედებებს, თუმცა თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში პროფკავშირების გააქტიურება დაიწყო. 1917 წელს ჩამოყალიბდა თბილისის ,,პროფესიული კავშირების ცენტრალური ბიურო'', ხოლო წლის დასასრულს მოიწვიეს კავკასიის პროფესიულ კავშირთა პირველი სამხარეო კონფერენცია.ამის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა,

ქვეყნის სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის საკითხები თუ რაზე მახვილდებოდა ყურადღება 1921 წლის კონსტიტუციაში შრომის საკითხებთან დაკავშირებით. შრომა გამოცხადდა რესპუბლიკის არსებობის საფუძვლად, რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდა თავის მოქალაქეთა ღირსეულ არსებობაზე ეზრუნა, ასევე ვალდებულებას იღებდა უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს დახმარებოდა, დაადგინა, რომ ადამიანს არ უნდა ემუშავა კვირაში 48 საათზე მეტი, აიკრძალა 16 წლამდე ასაკის პირთა შრომა, 16-18 წლის ასაკის ახალგაზრდებისთვის 6 საათით განისაზღვრა სამუშაო დრო, ასევე რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდა მინიმალური ხელფასის განსაზღვრისთვის და თუკი დამქირავებელი აღნიშნულ პუნქტებს დაარღვევდა სისხლის სამართლის წესით გასამართლდებოდა. რაც შეეხება პროფესიული კავშირების ფუნქციონირებას დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლიდან 1921 წლამდე,პირველი ყრილობა ჩატარდა 1919 წელს. ყრილობამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. 1920 წლიდან იწყება ტროცკის მხრიდან პროფესიული კავშირების მნიშვნელობასა და შინაარსზე საუბარი. საბოლოოდ კი გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომელიც გულისხმობდა, რომ პროფესიული კავშირები არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო ორგანოს. ეს მოსაზრება საქართველოშიც გავრცელდა და 1919 წლის პროფესიული კავშირების გამგეობის არჩევნებზე წარმოდგენილ იქნა ორი სია მენშევიკებისა და ბოლშევიკების მიერ, რაც ბოლშევიკების გამარჯვებით დასრულდა (ცოტნე ცხვედიანი, საბაკალავრო ნაშრომი, 2017).

პროფესიული კავშრები და მშრომელთა წინააღმდეგობა საქართველოში

არსებობს ფაქტობრივი მოცემულობები თუ როგორ ხელმძღვანელობს კომპანია, პოლიციური რეჟიმი, და მათი საწყისი - გაბატონებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვა მშრომელთა ორგანიზების წინააღმდეგ, თუმცა ასევე საკითხავია რა როლს ასრულებს არსებულ პროცესში პროფესიული კავშირი.

პროფესიული კავშირების საქმიანობის წამოწყების თარიღად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუკი სამართლებრივი რეგისტრაციის თარიღს გავყვებით, 1998 წელი გვხვდება, როდესაც საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია იქმნება, ხოლო 2006 წლიდან უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებს უერთდება (საერთაშორისო პროფესიული კავშირების გაერთიანების (ITUC), ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის-ETUC რეგიონული ფილიალის წევრი) (საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება).

2005 წლის შემდეგ პროფესიულ კავშირებში ცვლილებები მიმდინარეობს მმართველ გუნდში. ძველ ხელმძღვანელობას ანაცვლებს ახალი ჯგუფი ირაკლი პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც დღემდე ინარჩუნებს დაკავებულ პოზიციებს (საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, 2010). 2010 წლიდან დღემდე მუშათა გაფიცვების მიზნები და მათი მოთხოვნები წინააღმდეგობის პროცესში მეტწილად ეკონომიკური ხასიათის იყო. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. პროფესიული კავშირების მამოძრავებელი იდეა პოლიტიკურ შინაარსს დიდწილად არ ატარებდა ლოკალურ დონეებზე. სახელმწიფოს პოლიტიკის ცვლილების საკითხში კი მისი ქმედებები საყოველთაო მობილიზებისკენ ვერ მიემართებოდა რესურსისა თუ ორგანიზების პრობლემების გამო.

რიგ შემთხვევებში მშრომელთა დამოუკიდებელი წინააღმდეგობის შედეგად ყალიბდებოდა პროფესიული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები. ამ მუხტს თან ახლდა სპონტანური ხასიათი, რომელიც სამომავლოდ გადაიზრდებოდა ხოლმე ფართომასშტაბიან წინააღმდეგობაში, რაც პირველადი პროფკავშირის შექმნითა თუ

პროფესიულ კავშირში გაწევრიანებით სრულდებოდა.სხვა შემთხვევაში ძველი პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეებს ანაცვლებდა ახალი საგაფიცვო კომიტეტი, მუშათა ჯგუფი(ტყიბულის შემთხვევა).

მიუხედავად წვრილმანი გამარჯვებებისა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ემყარებოდა ადგილობრივ დონეზე მიღწეულ ეკონომიკური ხასიათის პრობლემების მოგვარებას, ისიც მცირედი ნაწილის უმრავლეს შემთვევაში, მაინც ვერ ხდებოდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მასობრივი მობილიზება და ორგანიზება მშრომელთა დიდი რაოდენობის პოლიტიკური მოთხოვნების დღის წესრიგში დასაყენებლად. ეს იყო მხოლოდ საპირველმაისო დემონსტრაციის დროს, ისიც, პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებული მუშების რიცხვთან შედარებით, საკმაოდ მცირე რაოდენობის მეშვეობით.

თავისთავად ამ ვითარებას განაპირობებდა, როგორც გარკვეულწილად პირველ თავში გამოჩნდა, არსებული ნეოლიბერალური წესრიგი, პოლიციური რეჟიმის გამოვლინებებიც მრავალჯერ ყოფილა მშრომელთა მხრიდან გამოთქმული პროტესტის წინააღმდეგ, ასევე კომპანიის მიერ გამოყენებული სხვადასხვა ხერხი მათ შორის „ყვითელი პროფკავშირების“ შექმნა, თუმცა მეორემხრივ რა საქმიანობასა და ღონისძიებებს მიმართავდა პროფესიული კავშირი გაფიცვებისა თუ „სიმშვიდის“ პერიოდში. რა ქმედითი ნაბიჯები იყო მიმართული მასობრივი მობილიზებისკენ?

პროფკავშირული ბრძოლის ძირითადი ნაწილი მიღწევებისა და გამარჯვებების კუთხით გარკვეული სახის სამართლებრივ შრომით დავებს უკავშირდება, ასევე პირველადი პროფესიული ერთობების მხრიდან მცირედ გამარჯვებებს, რომლებიც მინიმალურია იმ მოთხოვნებთან შედარებით, რასაც გაფიცვებისა და წინააღმდეგობების დროს აყენებდნენ მშრომელები.

პროფესიული კავშირების წინააღმდეგობა ბევრ შემთხვევაში იმედგაცრუებით სრულდებოდა, მაშინ, როდესაც პროცესებს წინ სპონტანური აფეთქება უძღვოდა და მშრომელთა გულწრფელი გამოსვლა შრომის პირობებისა და ხელფასების ზრდის მოთხოვნით ხდებოდა.თავდაპირველი სპონტანური გამოსვლების აფეთქების პროცესი

ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დასასრულს მიმდინარეობდა, თუმცა ამან კარგად განსაზღვრული, დაგეგმილი, ორგანიზებული სახე ვერ მიიღო. ხშირად მოთხოვნები ყოველ მომდევნო წინააღმდეგობაზე მეორდებოდა დაუკმაყოფილებლობის გამო.კაზრეთის შემთხვევა, რომელიც ყველაზე გრძელვადიანი გაფიცვა იყო და მოთხოვნების მიღწევის კარგ საშუალებას წარმოადგენდა საბოლოოდ ჯამში გამოიწვია ის, რომ მშრომელებს იმედები გაუცრუვდათ, საწარმომ კი ვალდებულებები არ შეასრულა. ქსნის მინისტარის შემთხვევა, რომელიც 2016 წელს დაიწყო და შეფასებულია, როგორც მოლაპარაკებისა და მედიაციის გზით გამარჯვების მოპოვების მცდელობის მაგალითად საბოლოოდ დასრულდა 29 დღიანი გაფიცვითა და მინიმალურ შეთავაზებებზე დათანხმებით. (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017)

ტყიბულის 2016 წლის მაგალითი კარგად აჩვენებს თუ როგორ დაიწყო მშრომელთა სპონტანური დამოუკიდებელი მოქმედება ქვემოდან. რამდენიმე დღის მანძილზე ადგილობრივი პროფკავშირები და ცენტრალური პროფესიული გაერთიანება არ გამოჩენილა. მშრომელები და მათი სოლიდარობისთვის ტყიბულში ჩასული ადამიანები მრავლად იყვნენ პროტესტის გამოსახატათ მინდელის შახტის ადმინისტრაციის შენობის ჭიშკართან. ეს იყო ერთ-ერთი მოულოდნელი და ფართომასშტაბიანი გაფიცვა, რომელიც აიტაცა მთელმა ქვეყანამ და სოლიდარობის მესიჯები სხვადასხვა კუთხიდან გაისმოდა. მოეწყო რამდენიმე ასეული სტუდენტის მსვლელობა და აქცია თბილისში. მუდმივ რეჟიმში ჩამოდიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან სოლიდარობის გამოსაცხადებლად ორგანიზებულად მიმდინარეობდა მოქმედება სხვადასხვა ორგანიზაციებს, სტუდენტებსა და პირველრიგში მშრომელებს შორის. ეს გაფიცვა გამოირჩევა მისი რადიკალური და არა შემწყნარებლური თუ მშვიდი ხასიათით არსებული პოლიტიკის მიმართ, რამაც ფაქტობრივად თემის ფართო გაშუქებასა და პრობლემის დღის წესრიგში დაყენებას გაუსვა ხაზი. გაისმა არამხოლოდ ეკონომიკური მოთხოვნები, რასაც ხშირად ვაწყდებოდით გაფიცვისა თუ მანიფესტაციების დროს, არამედ აქ უკვე ისმოდა პოლიტიკური მოთხოვნებიც. ქმედება, რომელიც მეშახტეებმა სხვა ჯგუფებთან ერთად განახორციელეს და დაიკავეს შახტის ადმინისტრაციის შენობა გამოხატავდა პირდაპირ ხელშესახებ

დაპირისპირებას გაბატონებული ეკონომიკური წესრიგის აქტორების წინააღმდეგ. პროფესიულ კავშირებთან მაინც შედგა საუბარი მიუხედავად არსებული არასათანადო დამოკიდებულებისა, სადაც გაიჟღერა იდეამ გაფიცვების ორგანიზების ანდა სოლიდარობის ქმედებების შესახებ სხვა ინდუსტრიულ ზონებში, რაზეც პროფკავშირებს თავის მხრივ უნდა შეძლებოდათ პასუხისმგებლობის აღება, თუმცა მათგან მხოლოდ ის პასუხი მიიღეს შეხვედრაზე მყოფებმა, რომ მათ არ შეეძლოთ ამის გაკეთება და არ შესწევდათ რესურსი ამ გეგმის განსახორციელებლად. აქ კი ფაქტობრივად კიდევ უფრო მეტად ნათლად ჩამოაყალიბა პროფესიული კავშირების სუსტი მხარეები, მობილიზებისა და პროფკავშირული საქმიანობის არასათანადო მოწოდების სიმაღლე, რაც თავის მხრივ მეტყველებდა იმაზე, რომ არ მიმდინარეობდა სათანადო სამუშაოები პროფკავშირული კუთხით, სამომავლო მობილიზებისთვის.

მეტროს მაგალითის განხილვისას ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ თუ რა პოზიციებით უპირისპირდება დამოუკიდებელი პროფკავშირის „მეტრო 2013“-ის წევრი მემანქანეთა პროფკავშირული ორგანიზაციის „მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიულ კავშირს“. იგი ამბობს, რომ იმ ერთობაში იყვნენ ხელმძღვანელი პირები და როდესაც მშრომელი მათი მხრიდან იჩაგრება ისევ ის გამოდის დამცველი (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017).

პროფესიული კავშირის ბრძოლები ძირითადად ეფუძნებოდა ეკონომიკურ მოთხოვნებს (მაგალითად ხელფასის მომატება). სხვა შემთხვევაში მოთხოვნები გარკვეულწილად შეიძლება ჩავთვალოთ პოლიტიკურად არსებულ სისტემასთან შესაბამისობაში (მაგალითად შრომის ინსპექციის მოთხოვნა). ერთიანმა პროფესიულმა კავშირმა ვერ მოახერხა მობილიზება პოლიტიკური მოთხოვნების დღის წესრიგში ფართოდ დასაყენებლად. მეტიც, მშორმელები ტოვებენ პროფესიულ კავშირებს, ბევრი მათგანი ფორმალურად არის ამ ერთობაში, დასაქმების ადგილებზე მათი რაოდენობა დასაქმებულთა რიცხვთან უმრავლეს შემთხვევაში მცირეა. დღემდე პრობლემურ საკითხებს წარმოადგენს შრომითი მდგომარეობა, ანაზღაურების საკითხი. არსებული ეკონომიკური ფორმაცია თავისთავად განაპირობებს მშრომელთა ორგანიზების პრობლემებს, თუმცა არსებობს მასთან

ერთად მეორადი ფაქტორები, რომელშიც პროფესიული კავშირების არასათანადო საქმიანობა შეიძლება მოვიაზროთ.

დასკვნა

ნეოლიბერალიზმის თეორიული საფუძვლებისა და ექსპერიმენტების განხილვამ უკეთ დაგვანახა საქართველოში გატარებული რეფორმების მნიშვნელობა და წინააღმდეგობები, რომელიც შეიძლება ნეოლიბერალურ ფორმაციას ახლდეს ჩარევისა თუ რეგულაციის წინააღმდეგ. საქართველოში მიმდინარე პროცესები ცხადჰყოფს თანყვედრას განხილულ ექსპერიმენტთან, საბაზისო დონეზე გატარებულ რეფორმებში. აქვე უნდა აღინიშნოს ის, თუ რა დამოკიდებულება გააჩნდა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებს პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა ორგანიზების მიმართ. განვიხილეთ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთისა და ჩილეს მაგალითი, სადაც ამ მოძღვრების მიმდევრები ეწინააღმდეგებოდნენ პროფესიული კავშირების საქმიანობას. ეს რაც შეეხება სახელმწიფო დონეზე მმართველთა პოლიტიკურ შეხედულებებს, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების მიხედვით განხორციელებული დეზორგანიზების გამომწვევი მიზეზების შექმნა ცალკე ფარულად არსებული მცირე ნაღმებია მშრომელთა ორგანიზების წინააღმდეგ და პროფესიული კავშირების მაგვარი ტიპის ერთობების თავიდან ჩამოსაშორებლად. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს შრომის პრეკარული ხასიათი, რომელიც ნეოლიბერალიზმისთვისაა დამახასიათებელი, სადაც არ მიმდინარეობს სტაბილური შრომა და დასაქმებულ ორგანიზებული წინააღმდეგობისთვის ფაქტობრივად ყველა სივრცე შეზღუდული აქვს. დერეგულირების, ბაზრის თავისუფლების, პრივატიზაციისა და ინიდვიდის თავისუფლების ნეგატიურ გაგებაზე დაფუძნებულმა ეკონომიკურმა მოდელმა საბოლოო ჯამში წარმოშვა ისეთი სახის მიზეზები, რამაც ორგანიზების პრობლემები შექმნა. ეს იქნება ინდივიდუალური ხელშეკრულებები, მინიმალური ანაზღაურება, შრომის არასტაბილური ხასიათი, მძიმე შრომითი პირობები, დაშინების მექანიზმი, საფინანსო ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებები, საოჯახო საქმეები თუ სხვა. ამის საფუძველზე მშრომელთა და პროფესიული კავშირების ორგანიზების პრობლემების გამომწვევი მიზეზები თვალსაჩინო გახდა, თუმცა პროფესიული კავშირების არასათანადო საქმიანობა დასაქმებულთა წინააღმდეგობის შესუსტებისა და დეზორგანიზების წინაპირობაა მაშინ, როდესაც ნეოლიბერალური სახელმწიფო მშრომელთა ორგანიზების წინააღმდეგ იბრძვის.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზეთი ტალღა. (1906). მოპოვებულია*10 ნოემბერი, ნომერი 21, გვერდი 4* , (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000513/1qarTuli%20gazeTebis.pdf)-დან.

გაზეთი ცნობის ფურცელი. (1905). მოპოვებულია *8 თებერვალი, ნომერი-2737, გვერდი 1* , (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000513/1qarTuli%20gazeTebis.pdf)-დან.

„ესმა გუმბერიძე: ერთი დღე ჭიათურაში“. მოპოვებულია (3 მარტი 2018 წ.). http://european.ge/erti-dge-chiaturashi/-დან

Chad, S. (2018). მოპოვებულია 10 ივნისი 2018 წ., http://www.yourarticlelibrary.com/trade-unions/5-classification-of-theories-of-trade-union/35463-დან.

Garcia, E., & Arnoldo, M. (2018). *What is Neoliberalism? A Brief Definition for Activists*. მოპოვებულია 12 ივნისი 2018 წ., National Network for Immigrant and Refugee Rights: https://www.academia.edu/34238643/What_is_Neoliberalism_A_Brief_Definition_for_Activists-დან

Harvey, D. (2005). *A brief History of Neoliberalism. Oxford: Oxford University Press.* მოპოვებულია http://www.scielo.br/pdf/rsocp/v23n55/0104-4478-rsocp-23-55-0011.pdf-დან. 30 მაისი 2018 წ.

Robinson, D. (2002). *Job Families and Other Taxonomies.* Brighton: Institute for Employment Studies.

Steger, M. B., & Ravi K. Roy. Neoliberalism: A Very Short Introduction“ ,. გვ. 38.

USAID. (2012). *“საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი”,*. მოპოვებულია http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf-დან

О’Салливан, Д. (9 აპრილი 2013 წ.). *Тэтчер и Рейган: феномен дружбы - Джон О’Салливан*. მოპოვებულია 30 მაისი 2018 წ., из https://www.svoboda.org/a/24952679.html-დან.

Тарасов, А. (2001). Александр Тарасов, „Хватит врать о Пиночете!“. გვ. http://saint-juste.narod.ru/pin.htm-დან.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). (2017). *„წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები.*

გაზეთი ივერია, . (1905). მოპოვებულია *16 ნოემბერი, ნომერი 207, გვერდი 3* , (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000513/1qarTuli%20gazeTebis.pdf)-დან.

გაზეთი ლამპარი, . (1906,). მოპოვებულია *2 ივნისი, ნომერი 35, გვერდი 2*, (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000513/1qarTuli%20gazeTebis.pdf)-დან.

გაზეთი ცნობის ფურცელი. მოპოვებულია (1905). *8 თებერვალი, ნომერი-2737, გვერდი 1*, (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000513/1qarTuli%20gazeTebis.pdf)-დან.

ვაწაძე, მ., & ბერაია, ა. (2 იანვარი 2017 წ.). *„პრეკარიატი – ახალი საშიში კლასი“, გაი სტენდინგი.* მოპოვებულია თარგმანი: http://younggreens.ge/458fr/-დან.

ვიდეო : თბილისის სოლიდარობის ქსელი. (ნ.დ.). მოპოვებულია https://www.facebook.com/tbilisisolidarity/videos/887091871499421/ -დან.

კამლაძე, ა. (პრეკარიატი, როგორც ახალი კლასი და ქალების სპეციფიკა 2017 წ.). მოპოვებულია ტრანსკრიპტი ჩაიწერა ,,სამოქალაქო აქტივიზმის ფესტივალის" ფარგლებში, რომელიც გაიმართა 29-1 ივლისს. ,,სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის" ორგანიზებით: https://carc2017.wordpress.com/2017/07/20/annakamladze/-დან.

კვირის პალიტრა. (2017). *37 დეკლარირებული მილიონერი უმრავლესობაში.* მოპოვებულია https://bpn.ge/finansebi/31634-37-deklarirebuli-milioneri-umravlesobashi.html?lang=ka-GE-დან.

პაპავა, ვ. (2002). „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“,. გვ. 33.

საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო. (2010). საქართველოს პროფესიული კავშირების მოძრაობა. https://www.transparency.ge/sites/default/files/TI%20GEORGIA%20Georgian%20Trade%20Union%20Movement%20GEO.pdf.

საქართველოს პარლამენტი. (27 დეკემბერი 2010 r.). *საქართველოს კანონი. შრომის კოდექსი.* მოპოვებულია https://matsne.gov.ge/ka/document/view/26350-დან

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება. (ნ.დ.). http://www.gtuc.ge/?page_id=4944 .

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. (2014). *„სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები“*. თბილისი.

ცოტნე ცხვედიანი, საბაკალავრო ნაშრომი. (2017). *„ შრომითი ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კანონმდებლობაში (შედარებითი ანალიზი) “*.

ჭიათურა: კონტროლი და სიძულვილი“, გიორგი ღვინჯილია. (4 ნოემბერი 2016 r.). მოპოვებულია https://emc.org.ge/ka/products/chiatura-kontroli-da-sidzulvili „-დან.

ჯონსი, ს. (2013). საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. *სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი*, გვ. 266 გვ.

ჰარვი, დ. (2017). *ნელიბერალური სახელმწიფო.* თბილისი: გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ჰეივუდი, ე. (2004). *პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი.* ([. თ. სხვ., & ზ. ს. რედ.: ლაშა ბერაია, რედ.) თბილისი: თბ.: ლოგოს პრესი, 432გვ. მოპოვებულია 29 მაისი 2018 წ.